ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე

766

ბრძანება №_____

13 ნოემბერი

"____"_____2015 წ.

ესა „აკურის ქ. N27, 29, 33, ალმასიანის ქ.N34, 40, 42, 46“-ის თავმჯდომარის შუქრი კაკაურიძის ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში 2015 წლის 6 ოქტომბერს ესა „აკურის ქ. N27, 29, 33, ალმასიანის ქ. N34, 40, 42, 46“-ის თავმჯდომარემ შუქრი კაკაურიძემ შემოიტანა N42640/12 ადმინისტრაციული საჩივარი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2015 წლის 28 აპრილის N000087 დადგენილებასთან დაკავშირებით.

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 181-ე მუხლთან შესაბამისობის შემოწმების შემდეგ, ადმინისტრაციულმა ორგანომ განიხილა ადმინისტრაციული საჩივარი.

მითითებული კოდექსის 96-ე, 194-ე და 195-ე მუხლების შესაბამისად, საკითხთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში 2015 წლის 16 ოქტომბერს გამართულ ზეპირი მოსმენის სხდომაზე გამოცხადდნენ: საჩივრის ავტორი - ესა „აკურის ქ.N27, 29, 33, ალმასიანის ქ.N34, 40, 42, 46“-ის თავმჯდომარე შუქრი კაკაურიძე და მოწინააღმდეგე მხარის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი - ნინო სავანელი.

საჩივრის ავტორმა განმარტა, რომ 2015 წლის 21 სექტემბერს ჩაიბარა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2015 წლის 28 აპრილის N000087 დადგენილება, რომლითაც ესა „აკურის ქ. N27, 29, 33, ალმასიანის ქ.N34, 40, 42, 46“ დაჯარიმდა 4000 ლარით, შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევისათვის. მისი განმარტებით, შპს „პროგრესის“ მიერ მომზადებული კონსტრუქციული პროექტის შესაბამისად, ამხანაგობამ 2013 წელს დაიწყო ერთი ბლოკის (ობიექტის ნაწილის) მშენებლობა, რომელიც მოგვიანებით უპრობლემოდ დაუკავშირდებოდა შენობის სხვა ნაწილებს. აქედან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის სპეციალისტებმა არ გაითვალისწინეს, რომ საპროექტო ობიექტი არ არის დასრულებული, რის გამოც მათ მიერ მითითებული გარემოება ვერ ჩაითვლება არქიტექტურული პროექტის

საქმის წარმოების განყოფილება №3

დარღვევად. შესაბამისად, ამხანაგობის თავმჯდომარემ, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 53-ე მუხლის 1-ლი და მე-5 ნაწილების საფუძველზე, მოითხოვა სადავო დადგენილების ბათილად ცნობა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში გამართულ ზეპირი მოსმენის სხდომაზე გამოცხადებული საჩივრის ავტორი დაეთანხმა ადმინისტრაციულ საჩივარს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ესა „აკურის ქ.N27, 29, 33, ალმასიანის ქ. N34, 40, 42, 46“-ის თავმჯდომარემ შუქრი კაკაურიძემ გაუშვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2015 წლის 28 აპრილის N000087 დადგენილების გასაჩივრების თხუთმეტდღიანი ვადა, რის გამოც წარმოდგენილი საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველი. მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელის განმარტებით, იმ შემთხვევაში კი, თუ ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო არ დააკმაყოფილებს მის შუამდგომლობას, მას მიიჩნია, რომ არ არსებობს წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძვლები, ვინაიდან ესა „აკურის ქ.N27, 29, 33, ალმასიანის ქ.N34, 40, 42, 46“ დაჯარიმდა 4000 ლარით მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით მშენებლობისათვის.

საქმეზე დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების მოსმენის, არსებითი მნიშვნელობის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების, წარმოდგენილი საქმის მასალების „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მოთხოვნათა შესაბამისად გამოკვლევის შემდეგ ადმინისტრაციული ორგანო მივიდა დასკვნამდე, რომ განსახილველი ადმინისტრაციული საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის განმხილველმა ადმინისტრაციულმა ორგანომ გამოარკვია, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2015 წლის 4 მარტის N000087 მითითების გაცემით დაიწყო სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება ესა „აკურის ქ.N27, 29, 33, ალმასიანის ქ.N34, 40, 42, 46“-ის მიმართ. მასში დაფიქსირდა, რომ ქ. თბილისში, აკურის ქ.N33, ალმასიანის ქ.N40, 42, 46-ში ამხანაგობის მიერ დარღვეულია ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 27 აპრილის N01/795 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტი, კერძოდ, „მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებზე შეთანხმებული პროექტის მიხედვით შენობის საძირკველის ფილის გაბარიტები „ა-ნ“ – 1-9“ ღერძებს შორის უნდა იყოს 54,55მ X 40,35მ. დღეის მდგომარეობით მოწყობილია ფილის ნაწილი მხოლოდ „თ-კ“ – „9-7“ მონაკვეთში, გაბარიტებით 10,20 X 10,75მ (ორ დონედ -6,30 და -3,15 ნიშნულებზე). შესაბამისად, გაწყვეტილია საძირკველისა და სართულშუა გადახურვის ფილები და დარღვეულია მათი მთლიანობა, რითაც დაირღვა შეთანხმებული პროექტი, რაც უარყოფით ზეგავლენას იქონიებს შენობის

მდგრადობაზე“. ამავე მითითების თანახმად, სამართალდამრღვევს განესაზღვრა 15 - დღიანი ვადა დარღვევის აღმოსაფხვრელად, კერძოდ, დაევალა ობიექტის შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტთან შესაბამისობაში მოყვანა.

ადმინისტრაციული წარმოების მასალების ჩაბარების შესახებ ოქმით, მითითებაზე სპეციალისტის მიერ გაკეთებული ჩანაწერითა და ფოტომასალით დგინდება, რომ ვინაიდან 2015 წლის 5 მარტს უფლებამოსილი პირი არ იმყოფებოდა ობიექტზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის სპეციალისტებმა ამავე სამსახურის 2015 წლის 4 მარტის N000087 მითითება განათავსეს საინფორმაციო ბანერზე.

დადგენილ გარემოებას წარმოადგენს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2015 წლის 23 მარტის N000087 შემოწმების აქტში დაფიქსირდა მითითებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა. ასევე, ფოტომასალით, ადმინისტრაციული წარმოების მასალების ჩაბარების შესახებ ოქმითა და შემოწმების აქტზე სპეციალისტის მიერ გაკეთებული ჩანაწერის თანახმად, ვინაიდან 2015 წლის 24 მარტს უფლებამოსილი პირი არ მოიძებნა ობიექტზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის სპეციალისტებმა ამავე სამსახურის 2015 წლის 23 მარტის N000087 შემოწმების აქტი განათავსეს საინფორმაციო ბანერზე.

აღსანიშნავია, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში 2015 წლის 16 და 23 აპრილს გამართულ ზეპირი მოსმენის სხდომებზე არ გამოცხადდა სამართალდამრღვევი, რომელსაც მითითებული სხდომების შესახებ ეცნობა 2015 წლის 14 და 20 აპრილის უწყებების საინფორმაციო ბანერზე განთავსების გზით.

შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2015 წლის 28 აპრილის N000087 დადგენილებით ესა „აკურის ქ.N27, 29, 33, ალმასიანის ქ. N34, 40, 42, 46“ დაჯარიმდა 4000 (ოთხიათასი) ლარით, პროექტის დარღვევით მე-4 კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის. ფოტომასალით, ადმინისტრაციული წარმოების მასალების ჩაბარების შესახებ ოქმითა და დადგენილებაზე სპეციალისტის მიერ გაკეთებული ჩანაწერის მიხედვით, ვინაიდან 2015 წლის 1 მაისს არც ამხანაგობის თავმჯდომარე და არც უფლებამოსილი პირი ადგილზე არ იმყოფებოდა, დადგენილება განთავსდა ობიექტის საინფორმაციო ბანერზე.

ადმინისტრაციული ორგანო განმარტავს, რომ „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 25-ე მუხლის 21-ე ნაწილის თანახმად, „სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს მიერ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოებისას მიღებული დადგენილების გასაჩივრების ვადა განისაზღვრება ამ კოდექსით.“ ამავე მუხლის 22-ე ნაწილის თანახმად, „სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს მიერ მიღებული დადგენილება (ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი)

შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობიდან 15 დღის განმავლობაში.“

ამავე კოდექსის ამავე მუხლის მე-19 და მე-20 პუნქტების მიხედვით, „თუ დადგენილებაში მითითებული მხარისათვის მითითების, შემოწმების აქტის, უწყების ან დადგენილების გაცნობა (პირადად ჩაბარებით) ვერ ხერხდება, გაცნობად ჩაითვლება მისი განთავსება მითითებაში, შემოწმების აქტში, უწყებაში ან დადგენილებაში აღნიშნული ობიექტის თვალსაჩინო ადგილზე. თვალსაჩინო ადგილად ჩაითვლება: ა) საინფორმაციო დაფა; ბ) მშენებლობის ტერიტორიაზე სამუშაოთა მწარმოებლისათვის დროებით განთავსებული შენობა; გ) მშენებლობის ტერიტორიის შემომფარგვლელი უსაფრთხოების ღობე. ამ მუხლის მე-19 ნაწილით გათვალისწინებული თვალსაჩინო ადგილების არარსებობისას თვალსაჩინო ადგილად ჩაითვლება მშენებარე ობიექტის ფასადი, ხოლო თუ მშენებარე ობიექტი მრავალბინიანი სახლია – ბინის მთავარი შესასვლელი“.

დადგენილია, რომ გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2015 წლის 28 აპრილის N000087 დადგენილება განთავსდა ქ. თბილისში, აკურის ქ.N33, ალმასიანის ქ.N40, 42, 46-ში მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის საინფორმაციო ბანერზე, 2015 წლის 1 მაისს.

საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო თვლის, რომ დადგენილების გასაჩივრებისათვის დადგენილი 15 - დღიანი ვადა უნდა აითვალოს ამ აქტის გაცნობიდან. ის, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს გაცნობის იდენტურად მოცემული კონკრეტული შემთხვევისთვის, დაფიქსირებულია „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში“. კერძოდ, საგამონაკლისო შემთხვევებში პირადად ჩაბარების შეუძლებლობისას, კანონმდებლობა დასაშვებად მიიჩნევს დადგენილების თვალსაჩინო ადგილზე გაკვრას. ადმინისტრაციული ორგანო განმარტავს, რომ ჩაბარების ალტერნატიული გზის გამოყენების სამართლებრივ საფუძველს და ფაქტობრივ წინაპირობას ქმნის პირადად ჩაბარების შეუძლებლობა. საქმეში არსებული დოკუმენტაციით არ დასტურდება ის გარემოება, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა მიიღო შესაბამისი ზომები დადგენილების პირადად ჩასაბარებლად, რა შემთხვევაშიც იგი უფლებამოსილი იქნებოდა დოკუმენტი გაეკრა თვალსაჩინო ადგილზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო დაუშვებლად მიიჩნევს გასაჩივრების ვადის ათვლას 2015 წლის 1 მაისიდან (საინფორმაციო ბანერზე განთავსების დღიდან).

„პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო სამართალდარღვევის საქმის წარმოებას იწყებს

თბილისის მერიის ადმინისტრაციული საქმის წარმოების განყოფილება №3

დამრღვევის მიმართ მითითების გაცემით, გარდა ამ მუხლის 23-ე ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა.“

დადგენილ ფაქტობრივ გარემოებათა შორის აღინიშნა, რომ ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2015 წლის 4 მარტის N000087 მითითება, რომლითაც ესა. „აკურის ქ.N27, 29, 33, ალმასიანის ქ. N34, 40, 42, 46“-ის მიმართ დაიწყო წარმოება სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე, განთავსდა ობიექტის საინფორმაციო ბანერზე, ვინაიდან უფლებამოსილი პირი არ იმყოფებოდა ადგილზე. ასევე დადგენილია, რომ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებული არც-ერთი დოკუმენტი, მათ შორის უწყებები ადრესატს პირადად არ ჩაბარებია. საქმის მასალებში არ მოიპოვება არც ზეპირი მოსმენის სხდომის ოქმი, რომელშიც მხარე დაადასტურებდა მითითების ჩაბარებას. ამასთან, წარმოდგენილი დოკუმენტაციით არ დასტურდება, ადგილზე გასვლის გარდა, დოკუმენტაციის სხვა გზით ჩაბარების მცდელობა. მაგალითად, ფოსტის მეშვეობით უფლებამოსილ პირთან საცხოვრებელ ადგილზე გაგზავნა.

მოცემული გარემოებები ცხადყოფს, რომ არ არსებობდა მითითების თვალსაჩინო ადგილას გაკვრის გზით ჩაბარების სამართლებრივი საფუძველი, რის გამოც საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო მიიჩნევს, რომ ადრესატი - ესა „აკურის ქ.N27, 29, 33, ალმასიანის ქ.N34, 40, 42, 46“-ის თავმჯდომარე ან სხვა უფლებამოსილი პირი არ გაცნობია ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2015 წლის 4 მარტის N000087 მითითებას და მას სათანადო წესით არ ეცნობა სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ.

„პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 25-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, „მითითებით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო ამოწმებს დამრღვევს, რაზედაც დგება შემოწმების აქტი. შემოწმების აქტში აისახება მშენებარე ობიექტის ფაქტობრივი მდგომარეობა მითითების პირობებთან მიმართებით, კერძოდ: ა)მითითება შესრულდა; ბ)მითითება არ შესრულდა; გ)მითითება არადროულად სრულდება.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, შემოწმების აქტი უნდა შედგეს მითითებით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდგომ. როგორც უკვე აღინიშნა მითითება ადრესატს არ ჩაბარებია, შესაბამისად, არ არსებობს დარღვევის გამოსასწორებლად მიცემული 15 დღის ათვლის წერტილი. მოცემულ გარემოებებზე დაყრდნობით ადმინისტრაციული ორგანო განმარტავს, რომ არ არსებობდა 2015 წლის 23 მარტის N000087 შემოწმების აქტის შედგენის სამართლებრივი საფუძველი.

ადმინისტრაციული ორგანო აქვე აღნიშნავს, რომ მითითება და შემოწმების აქტი წარმოადგენს შუალედურ აქტებს, რომელთა საფუძველზეც მიიღება საბოლოო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – დადგენილება. მათ შორის

მითითება, არის სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების სამართლებრივი საფუძველი, დამრღვევი კი ვალდებულია მითითებით განსაზღვრულ ვადაში აღმოფხვრას მასში მითითებული მოთხოვნა. აღნიშნულის თაობაზე კი დგება შემოწმების აქტი და მასში მითითების შეუსრულებლობის დაფიქსირება წარმოადგენს პირის დაჯარიმების საფუძველს.

ამდენად, ადმინისტრაციული ორგანო განმარტავს, რომ სამართალდარღვევის დადგენილ ვადაში აღმოფხვრა დამოკიდებულია უფლებამოსილი პირისათვის (სამართალდამრღვევისათვის) მითითების სათანადო წესით ჩაბარებაზე, ვინაიდან მასში შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ფიქსირდება ყველა ის შენიშვნა, რომლის გამოსწორებაც კონკრეტულად მას ევალება სამშენებლო სამართალდაღვევის გამოსწორების მიზნით. შესაბამისად, მისი უფლებამოსილი პირისათვის ჩაბარება სამართლებრივად მნიშვნელოვანია და შეუძლია გავლენა მოახდინოს საბოლოო გადაწყვეტილების - დადგენილების მიღებაზე. შესაბამისად, მითითებისა და შემოწმების აქტის ჩაბარების წესის დარღვევა წარმოადგენს ისეთი ხასიათის დარღვევას, რომლის არარსებობის შემთხვევაში შესაძლებელია მიღებული იყოს სხვაგვარი გადაწყვეტილება.

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-60[1] მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, „ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები.“ ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად კი, „ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.“

ამდენად, საჩივრის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2015 წლის 28 აპრილის N000087 დადგენილების სამართლებრივი საფუძვლების გამოკვლევისას გამოვლინდა ისეთი გარემოებანი, რაც ცხადყოფს მის წინააღმდეგობას „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მოთხოვნებთან მიმართებაში. შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო მიიჩნევს, რომ სახეზეა გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, კერძოდ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2015 წლის 28 აპრილის N000087 დადგენილების ბათილად ცნობის საფუძვლები.

საქმის წარმოების განყოფილება №3

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ IV, VI, XIII თავების, მე-60[1], 110-ე, 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა” ქვეპუნქტის, 202-ე მუხლის, „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის, „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ბრძანებს:

1. დაკმაყოფილდეს ესა „აკურის ქ.N27, 29, 33, ალმასიანის ქ.N34, 40, 42, 46“-ის თავმჯდომარის შუქრი კაკაურიძის 2015 წლის 6 ოქტომბრის N42640/12 ადმინისტრაციული საჩივარი.
2. გათილად იქნეს ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2015 წლის 28 აპრილის N000087 დადგენილება.
3. ბრძანების ასლები გადაეგზავნოთ დაინტერესებულ მხარეებს.

წინამდებარე ბრძანების გასაჩივრება შეიძლება კანონით დადგენილი წესით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), ერთი თვის ვადაში.

გიორგი ხელაია



2015 წლის 13 ნოემბრის N766 ბრძანება

ადმინისტრაციული დავების განხილვისა და
სამართლებრივი აქტების მომზადების
განყოფილება ის განყოფილების უფროსი

თამარ ანდრიაძე

თანხმობა

მე, თემურ საჯაია დაბ.02.09.1956წ. წალენჯიხაში, პირადი № 01020006757, რეგ. თბილისი ნ.კახიანის ქ. N 22, როგორც მომიჯნავე მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.10.13.034.002) მესაკუთრე თანახმა ვარ მასზედ, რომ ი.მ. ამხანაგობა ,,აკურის №27,29,33, ალმასიანის №34,40,42,44,46"-მა ააშენოს პროექტის მიხედვით დამტკიცებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი და აღნიშნულთან დაკავშირებით არანაირი პრეტენზია არ გამაჩნია, რასაც ვადასტურებ ხელისმოწერით.

თემურ საჯაია ---------

სანოტარო აქტი

რეესტრში რეგისტრაციის № 160823937 საქართველო

ორი ათას **თექვსმეტი** წლის **ოცდაექვს ივლისს** მე, ლალი კანდელაკს ნოტარიუსს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, გამსახურდიას გამზირი (პეკინის ქუჩა) №36, მომმართა **თემურ საჯაიამ**, რომელმაც წარმოადგინა **თანხმობა** და მოითხოვა მასზე მისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება.

მე დავადგინე მისი პირადობა, მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნედი რომ ნამდვილად **თემურ საჯაიამ დაბ.02.09.1956წ. წალენჯიხაში, პირადი №01020006757, რეგ. თბილისი ნ.კახიანის ქ. N 22,** მომმართა.

მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა და განვუმარტე: წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერის დამოწმებისას ნოტარიუსი ამოწმებს, რომ დოკუმენტზე შესრულებული ხელმოწერა ნამდვილად ზემოაღნიშნულ პირს ეკუთვნის. ნოტარიუსი არ ადასტურებს დოკუმენტში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას და შესაბამისად პასუხს არ აგებს მის ნამდვილობაზე, ამის შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად შეასრულა ხელმოწერა წინამდებარე **თანხმობაზე**.

გადახდილია საზღაური, თანახმად: სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების შესახებ საქრთველოს მთავრობის დადგენილებისა (29 დეკემბერი, 2011წ. №507) 31 მუხლისა 2 (ორი) ლარი და ამავე დადგენილების 39–ე მუხლის პირველი პუნქტისა 2 (ორი) ლარი ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციისათვის, სულ 4 (ოთხი) ლარი.

ნოტარიუსი ლალი კანდელაკი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N160823937
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	26.07.2016 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ლალი კანდელაკი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ.თბილისი,გამსახურდიას (პეკინის) 36,1 სართული.
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	ოფისი - 2380471; მობილური - 599111901
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	52383517187016

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება № 3678455

გაცემის თარიღი: 13/11/2017 გაცნობის თარიღი: 13/11/2017

განცხადების ნომერი: AR1539458

შემოსვლის თარიღი: 11/09/2017

შედეგი: **განუხილველი**

მიწის ნაკვეთ(ებ)ი / ობიექტ(ებ)ი:

- საკადასტრო კოდი: 01.10.13.035.031
- მისამართი: ქალაქი თბილისი , ქუჩა აკური , N 33 , ქუჩა ალმასიანი N40, N42, N44, N46. , (ნაკვეთი N35/31)
- ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
- ფართობი: 2689.0 კვ.მ
- მესაკუთრე(ები): ი.მ.ა "აკურის N27,29,33 ალმასიანის N34,40,42,46" (205299737)

ნომენკლატურა :

- **მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი**
- **IV კლასი**
- **შეთანხმებული პროექტის ცვლილება**
- **პროექტის შეთანხმება**

დამკვეთი - განმცხადებელი:

- შუქრი კაკაურიძე პ/ნ 01019009108
- მისამართი: თბილისი დ.გურამიშვილის გამზ. N 14

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 917 (11/08/2017; 3468604)
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 23.09.2009

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: თენგიზი ურთქმელიძე
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს ნუნინგი
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 205153475

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: ი.მ.ა "აკურის #27,29,33 ალმასიანის #34,40,42,46"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 205299737
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: შუქრი კაკაურიძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01019009108

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 2689.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 1515.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 25458.0
- .საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 18102.8
- .საოფისე ფართობი (კვ.მ).: 3317.5
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 1713.5
- .დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 499.2
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 1825.0
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 119179.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 110153.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 9026.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 91.1
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 84.8
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 6.3
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 1515 კ1=0.56
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 30375 კ2=11.3
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 120.60 0.045

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 01/795
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 27.04.2010

.არსებობის შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : ნ/3138
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 5.10.2011

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული “ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების” და საქართველოს კანონის პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 103-ე სეკუნდა მუხლის შესაბამისად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახური გაცნობებთ, რომ ვინაიდან სრულად არ არის გამოსწორებული დადგენილი ხარვეზები სამსახური მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს ამ ეტაპზე დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა. წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი და საკითხის შემდგომი განხილვა იწარმოებს სრულყოფილი დოკუმენტაციის ახალი რეგისტრაციით წარმოდგენის შემთხვევაში და შესაბამისი გადაწყვეტილება გეცნობებათ კანონით დადგენილ ვადაში.

დადგენილი ხარვეზი:

.შენობა-ნაგებობის ყველა სართულისა და სახურავის გეგმები, მასშტაბი 1:100. -> .გეგმების pdf ფაილი .: არ არის მისაღები შშმპ პანდუსები, არ უნდა ცდებოდეს საკადასტრო საზღვრებს, თან როცა პანდუსის სიგრძე 8 მ-ზე მეტია, მაშინ უნდა მოეწყოს ბაქანი ყოველი 6 მეტრის შემდეგ სიგრძით 1,50მ. პანდუსის ქანობი არ უნდა აღემატებოდეს 6%, ან შესაბამის გეგმებზე მიუთითეთ ინვალიდთა ეტლის ლიფტამდე თავისუფალი გადაადგილებისათვის განკუთვნილი ტექნიკური საშუალება. გათვალისწინებული „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების“ ტექნიკური რეგლამენტის (დამტკიცებული საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის N41 დადგენილებით) მოთხოვნები პანდუსების, ლიფტების, კიბის უჯრედების, შენობათა გასასვლელებისა და ღიობების ნაწილში; დეტალურად დაიტანეთ ზომები დადგენილი ნორმების შესაბამისად.

- კითხვების შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ: მერიის ცხელ ხაზს 2722222, არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციას, ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზს 2378346. ასევე მობრძანდეთ არქიტექტურის სამსახურის საკონსულტაციო ოთახში შარტავას ქ. #7 მერიის შენობა მეორე სართული ოთახი #9, ან რაიონულ გამგეობებში არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენლებთან.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.